საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 6 1921 წ. პარასკევი მარტის 18 № 16

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაიკარგა

ტფილისში მცხოვრებმა—10 უბანში ანდრიას ქუჩა № 77 ბარნაბა ონიფანტეს ძე მაღლაკელიძემ: 1) უვადო პასპორტი ტფილისში აღებული 1913 წელში № 1957, 2) სამხედრო ბეგარის თავისუფლების თეთრი ბილეთი ტფილისის სამხედრო უფროსისგან. 3) მეტრიკული ამოწერილობა ტფილისის სინოდალურ საბჭოსაგან მიღებული. 4) ჯვრის წერის და ქორწინების მოწმობა ჩემი და ოჯახობის ივლიტა ნიკას ასული მაღლაკელიძისა ქუთაისის მაზრის ოფიშკვეთის სოფლის ეკლესიისაგან მიღებული № 51. 5) ნებართვა სასადილოს ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან, ეს ზემო აღნიშნული მოწმობები დღეის რიცხვიდან გაბათილებულად ითვლება, სადაც უნდა აღმოჩნდეს. 664

## დაიკარგა

პირადობის მოწმობა ოზურგეთის მაზრის სოფ. აკეთის მცხოვრებ ევტიხი გიორგის ძე ქანთარიამ, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 665

## დაიკარგა

უვადო პასპორტი მოცემული კავკ. სამხედრო საოლქო ინტენდანტის სამმართველოსაგან № 11383—1918 წ. ელენე ალექსანდრეს ასულ ივანენკოს სახელზე, ატესტატი მიცემული პეტროგრადის ნიკოლაევის ინსტიტუტიდან 1917 წლ. იმავე ივანენკოს სახელზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 666

## 1871 წლის მარტის 18

ნახევარ საუკუნის წინ საფრანგეთის პროლეტარიატმა აღმართა წითელი დროშა პარიზში და კაცობრიობას ახალ, კომუნისტურ წესყობილების მოახლოვებაამცნო. 1871 წ. მარტის 18 პარიზის პროლეტარიატმა აიღო იარაღი სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და მით ბურჟუაზიულ საზოგადოებას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა. ის, რაზედაც მანამდე თეორიული მსჯელობები იმართებოდა, რაც შორეულ მომავლის საქმედ მიაჩნდათ, რაც საოცნებო ქვეყნის ჯერ გამოუკვლეველ სახის აჩრდილად ისახებოდა, ამ დღიდან სინამდვილეთ უნდა ქცეულიყო და საყოველდღეო ცხოვრების გზის მაჩვენებლად გარდაქცეულიყო.

ფუფუნებაში მითვლემილს ექსპლოტატორთა განაკს მონ-მარცხიდან გასროლილ ზარბაზნის ხმა განკითხვის დღის მოახლოვების ძახილად მოევლინა და კომუნარების წითელს დროშას მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანების სიმბოლოება ამ დღეს სისხლით დაწერილ მატიანედ ექცია.

პარიზის კომუნა—პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ფორმა იყო. მას უნდა დაემსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი ბურჟუაზიის კლასიურ ბატონობისათვის მოლესილი. პარიზის კომუნაც კლასობრივი ბატონობის აპარატი იყო და სწორედ ამაშია მისი საგანგებო მნიშვნელობა დღევანდელ ცხოვრებისათვის. პროლეტარიატს უნდა შეექმნა ისეთი აპარატი, რომელიც ბურჟუაზიას წელში გასტეხდა და მთელს მის საბრძოლველ საშუალებებს არარად აქცევდა. პარიზის კომუნა პირველი ნიმუში იყო იმის, რომ ბრძოლის, დაუნდობელ ბრძოლის და არა კლასთა სოლიდარობის ნიადაგზე შეიძლებოდა ადთქმის ქვეყნისაკენ — კომუნიზმისაკენ წასვლა.

ბურჟუაზიამ ყველაზე უკეთესად შეაფასა პარიზის კომუნის მნიშვნელობა და მთელი თავისი ძალ-ღონე აამუშავა ჯერ კიდევ გამოუცდელ პროლეტარულ ორგანიზაციის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა ბევრი შეცდომა მოუვიდათ პარიზის კომუნარებს, მაგრამ მათი მოღვაწეობის საკაცობრიო მნიშვნელობა წარმატებით ჰფარავს მათ შეცდომებს. დღევანდელს კომუნისტურ მოძრაობას, რომელიც პირმშო შვილია კაპიტალიზმის საბოლოო და საბედისწერო კრიზისისა, პარიზის გაკვეთილები თვალ წინ უდგას და მაშინ მსხვერპლად დაცემულ კომუნარობის გვამები ის საზღვარია, რომლითაც მოხაზულია დღევანდელ კომუნიზმის წინსვლის არე.

დღევანდელმა რევოლიუციონურმა მშრომელთა ბანაკმა კარგად იცის მნიშვნელობა და დიდება პარიზის კომუნისა. მან იცის იმის მიზეზები თუ რატომ დაეცა კომუნა 72 დღის განმავლობაში და ამავე კომუნის გაკვეთილებიდან მისთვის ცხადია, რომ დღევანდელი კომუნისტური მოძრაობა შედგება მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოების სასაფლაოზე.

## ბრძანება
### საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა

საბჭოთა ხელის უფლების დამყარებისთანავე ძირიანათ იცვლება საქართველოში ყოფილი ბურჟუაზიული მთავრობის მთელი კანონმდებლობა მიწის შესახებ. საქართველოს ახალი სოციალისტური მთავრობა უკვე შეუდგა მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ ძირიანად კანონების დაჩქარებით შემუშავებას და იმათ დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარებას, სანამ კი ასეთი კანონები გამოცემული არაა, აუცილებლად საჭიროა თვით მშრომელი გლეხ კაცობის ინტერესებისათვის ხელ უხლებლად დაცულ იქმნას, როგორც ყოფილი მთავრობის ისე ყოფილი მემამულეების განკარგულებაში მყოფი ყოველგვარი სიმდიდრე, ქონება ე. ი. ყოველგვარი შენობა, ავეჯეულობა. სამეურნეო იარაღები, მაშინები, საქონელი და სხვა და სხვა. გარდა ამისა ხელუხლებლად უნდა იქნას დაცული აგრეთვე მსხვილი მეურნეობანი, რომელთა გამოყენებისათვის სახელმწიფოებრივი ინტერესის და ღარიბი გლეხ კაცობის სარგებლობის მიხედვით საკუთარი კანონი იქნება გამოცემული სულ ახლო მომავალში.

ვიდებ რა მხედველობაში ყოველივე ამას, ყველა საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო რევოლიუციონურ კომიტეტებს ვავალებ: 1) დაუყონებლივ იქმნას მიღებული შესაფერი ზომები ყველა ზევით ჩამოთვლილ ხალხის ქონებათა და სიმდიდრეთა დასაცავად, სანამ სათანადო კანონები გამოცემული იქნებიან, და 2) თუ ვინიცობაა ამ ბრძანების გამოცემამდე რაიმე გაფლანგვას, გადამალვას ან გაფუჭებას ჰქონდა ადგილი, როგორც ქონებათა გამგეობის, და ყოფილ მემამულეების, ისე გარეშე პირების მხრით დაუყონებლივ მიღებულ იქმნას ზომები ქონებათა გაფლანგვის ან იმათი გაფუჭების შესაჩერებლად და დაკარგული სიმდიდრის აღსადგენათ. ის პირნი, რომლებიც ამ ბრძანების წინააღმდეგ იმოქმედებენ, როგორც დამნაშავენი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, გასამართლებულ და დასჯილ იქნებიან თანახმად რევოლიუციონურ კანონებისა.

საქართველოს რევკომის თავმჯდომარე და მიწათ მოქმედების სახალხო კომისარი ფ. მახარაძე, რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე

1921 წ. მარტის 14.

## უკანასკნელი ცნობა

საქართველოს რევკომის დელეგაცია უკვე შეხვდრია ყორდანიას მთავრობის წარმომადგენლებს, რომელთანაც თათბირი გრძელდება.

## აკადემიური კომბინატორები

ოფიციალურ ცნობების მიხედვით, ტფილისის პოლიტეხნიკუმის საბჭო მეორეჯერ გზავნის დელეგაციას მთავრობასთან, რათა პოლიტეხნიკუმის საქმეში მოაწყო ნივთიერის და სხვ. მხრივ სჩანს პირველი დელეგაციის საქმე ცუდად გათავებულა, რადგანაც მეორეს გაგზავნა შეიქმნა საჭირო.

რევკომს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება, რომ ჩვენში საკითხის ხანგრძლივად და ყოველ მხრივ შესწავლის შემდეგ, განზრახული იყო მთლიანი უმაღლესი სკოლის იდეის განხორციელება. საქართველოს, უნდა მიებაძნა ისეთი გამოცდილ ქვეყნებისათვის, როგორიცაა ამერიკა, გერმანია, ბელგია და სხვ. და შეერთებინა უმაღლესი თეორიული და უმაღლესი ტეხნიკური ცოდნა ერის მთლიან სკოლაში ე. ი. უნივერსიტეტში ტეხნიკური განყოფილებით. აუარებელი საბუთები არსებობს მთლიანი უმაღლესი სკოლის სასარგებლოთ, მათი აღნიშვნა აქ შეუძლებელია, ყველა ეს საბუთები მიღებული იქმნენ მხედველობაში და მთელ რიგმა ავტორიტეტიულ დაწესებულებისა (მაგ. განათლების კომისიამ დამფუძნებ. კრებას) გამოსთქვეს ურყევი სურვილი მთლიანი უმაღლესი სკოლის დაარსებისა. ეს საბუთები დღემდისაც ძალაშია ყველასთვის, ვისაც მართლა აინტერესებს განათლების საკითხი საქართველოში და არა იმ აკადემიურ კომბინატორებისათვის, რომლებსაც ასულდგმულებენ სულ სხვა ზრახვები.

რა დამატებითი და ახალი საბუთით მიდის რევკომთან ეს მეორე დელეგაცია? 1) ინსტიტუტის საბჭომ დაუთმო 50 ადგილი წითელ არმიელებს; 2) დეკანობიდან ეკონომიურ ფაკულტეტზე გადაყენებულია ქართველი პროფესორი და არჩეულია რუსი პროფესორი. 3) ინსტიტუტის საბჭომ შემოუღია ახალი კურსები: საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები, საზოგადოებრივ კლასების თეორია და სხვ.

ყველა ამ ცნობების დართვათ სურთ შექმნან ერთგვარი ატმოსფერა სხვა და სხვა წრეებში, რომ მიზანს მიაღწიონ. რა არის ეს თუ არა კომბინატორობა? ასე იქცეოდა ძველად სპეკულიანტი, როდესაც ის ნიშნავდა სტიპენდიებს, ქველმოქმედობდა და სხვ., რათა მოეგო ვიღაცას გული. მეთოდი ერთი და იგივეა, მხოლოდ იქ დავთრული ანგარიშები იყო და აქ კი აკადემიის წმინდა დროშა გამხდარა პოლიტიკურ სპეკულიაციის საგანი.

ვიღაც ბალდატოვები კი, საქართველოს საავენტოს სათავეში წამოსკუპებულნი, სცდილობენ თავის მხრივ შესაფერი ცნობებით ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის ჯეროვან დამუშავებას.

ტყუილი მუშაობაა—ქართულ საზოგადოებრივ აზრს თავისი ისტორია და ტრადიციები აქვს და თქვენს ხრიკებს კონტრაბანდათ ვერ გაატარებთ.

ნარი.

## ქრონიკა

1921 წლ. მარტის 15-ს

**ნავთის სადენის მუშაობის განახლება.**

ბაქო 14-3 მარტის 12 დღის 4 საათზე დიდი ზეიმით განახლდა ნავთის გადმოქაჩვა საქართველოში ბაქო-ბათუმის ნავთსადენიდან. აზრევკომის თავმჯდომარის, ამხ. ნარიმანოვის და სახალხო კომისართა თანდასწრებით, ამხ. ნარიმანოვმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ნავთის გადაქაჩვა შეჩერებული იყო 10 თვის განმავლობაში, რათა ნავთი საბჭოთა უფლების მტრებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

**კომუნისტების გაწვევა საქართველოში.**

კავკავი. 4-3. საოლქო პარტიულმა კომიტეტმა დაიბარა ყველა საქართველოში მომუშავე ამხანაგები წითელ საქართველოში გასაგზავნათ. ვინც არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირათ და დაისჯება პარტიულ სასამართლოს მიერ.

**განათლების კვირა.**

კავკავი მარტის 4. საოლქო სასოფლო კომიტეტის ბრძანებით 7 მარტიდან ცხადდება განათლების კვირა. რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა საგანმანათლებლო სამხედრო და სამოქალაქო უწყების დაწესებულებამ.

**გმირთა დასაფლავება.**

კავკავი მარტის 5—4 მარტს კავკავში მოხდა 10 წითელ გმირთა დასაფლავება. რომელიც დაიხოცნენ მენშევიკების ბანდებთან ბრძოლაში სამხედრო გზაზე. დასაფლავებას დაესწრო პროფ. ორგანიზაციები, სამხედრო ნაწილები, საოლქო პარტიულ კომიტეტი და ბევრი ხალხი. დაღუპულ გმირებისა სასაფლაოზე წარმოითქვა მრავალი სიტყვები, რომლებმაც დაახასიათებს შეუდარებელი გმირობა დაღუპულ ამხანაგებისა და გამოსთქვეს საჭიროება განაგრძონ საერთო პროლეტარული საქმე.

**სამაზრო რევკომი.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით ტფილისის ერობა გადააკეთა ტფილისის სამაზრო რევკომად. თავმჯდომარედ დაინიშნა სიმონ ლომჯანიძე. წევრებად თეოფანე ჩ ქოვანი და გრიგოლ ხეიძე. ყველა ფუნქციები გაუქმებულ ერობისა რევკომს გადაეცა. მოსამსახურენი თავიანთ ადგილას დარჩნენ.

**მილიციაში.** ქალაქის მილიციის უფროსმა შეადგინა საანკეტო კომისია მილიციაში მოსამსახურეთა საანკეტო ფურცლების შესამოწმებლად.

**გამომგონთა კავშირში.** 13 მარტს კავშირის კრებაზე ა. მიხალსკიმ გააკეთა მოხსენება პოლიგრაფის გამოგონების შესახებ (ხელსაწყო, რომლის საშუალებით ერთ და იმავე დროს შეიძლება რამდენიმე პლაკატის, ვეგმის და სხვა ამ გვარის გაკეთება).

**ქალაქის რევკომში.** მუშაობის განაწილება. ქალაქის რევკომმა დაადგინა მთხოვნელების მიღება და ქალაქის რევკომის გამგეობაში მუშაობა საზოგადოთ თავმჯდომარის და მის მოადგილის ხელში იყვეს იმ მიზნით, რომ საშუალება ექმნეს რევკომის დანარჩენ წევრებს ფაქტიური მუშაობისა ქალაქის სხვა და სხვა.

— **ლენინის დეპეშა.** ტფილისში რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: (ასლი საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს და ამხ. ორჯონიკიძეს) რადგან მე-11 ლაშქრის ნაწილები იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, წინადადება გეძლევათ თქვენ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და მტკიცეთ დაიცვათ რევკომის დირექტივები, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლათ არ იქნეს მიღებული არავითარი ზომები, რომლებიც შეეხებიან მცხოვრებთა ინტერესებს განსაკუთრებულ პატივის ცემით უნდა მოეპყრათ საქართველოს სუვერენულ უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილეა საჭირო ქართველებისადმი. დაუყონებლივ მიეცით სათანადო დირექტივები ლაშქრის ყველა დაწესებულებებს, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასა. პასუხის გებაში უნდა მიეცენ ამ დირექტივე ის დამრღვევნი. მაცნობეთ თუ იქნეს შემთხვევა ამის არ შესრულების, ან რაიმე გაუგებრობა თუ მოხდეს ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ლენინი.

რევოლიუციონ. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ სკლიანსკი.

**დაღესტანის და საჩეჩნეთის აჯანყების ლიკვიდაცია.** ტფილისში ამხ. ორჯონიკიძის სახელზე, დაღესტან თერგის ჯგუფის ლევანდოვსკის და მთავარ შტაბის ჯარების სარდლის ვორონკოვის ხელმოწერით მიღებულია შემდეგი დეპეშა: ბრძანება დაღესტან-თერგის ჯგუფის ჯარებისადმი 14 მარტის 1921 წ. ქ. პეტროვსკ-ნავსადგური.

დაღესტან-თერგის ჯარის ნაწილების სითამამით დაღესტანში მომხდარი კონტრ-რევოლიუციური აჯანყება სრულიად ჩაქრობილია. აჯანყების მოსისხლე მეთაური იდუმი ხელმძღვანელი და მისი ორგანიზატორები ჩამოგდებულ არიან დაღესტანის და საჩეჩნეთის ღარიბ ხალხის მიერ და სალთავიის და დაღესტანის მიუვალ ადგილებში მიიმალნენ და ამ რიგათ თავიდან აიცილეს ეს რისხვა და სასჯელი რომელიც მოელოდათ გაწამებულ ხალხისგან მათ მოტყუების გამო. წითელ არმიის გაღებულ მსხვერპლით და დაღვრილ სისხლის წყალობით დაღესტანის და საჩეჩნეთ ბნელი მახები განთავისუფლებულნი არიან, თეთრ-გვარდიულ ოფიცერთა და მუქთა მჭამელ მოლების მონობისაგან, მეტად დიდი ტანჯვა გამოიარა გმირმა წითელმა არმიამ, რომელმაც დიდი შრომა დასდო დაღესტან საჩეჩნეთის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში. სახელოვან წითელ არმიის ნაწილებმა დაღესტნის და საჩეჩნეთის ყველა კონტრ-რევოლიუციონერებს დაუმტკიცეს მათი განზრახვების განუხორციელებლობა და უშედეგობა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალა უფლების და წითელარმიის წინააღმდეგ. რევოლიუცნერი სამხედრო საბჭო დიდად აფასებს წითელ არმიელების სიმამაცეს და მადლობას უცხადებს წითელ არმიის კომისართ და სარდლობის შემადგენლობას, მაგრამ ამასთანავე რევოლიუციონური საბჭო ყველას საყურადღებოდ აცხადებს, მხედველობაში მიიღონ მთიელთა ხალხის ცხოვრების პირობები და ჩვენ წითელ არმიის მიერ დაკავებულ ადგილებში ყველამ გაიგოს, რომ წითელი არმია მშრომელთა ხალხის ინტერესების დამცველია. უნდა გაფრთხილდეს წითელ არმიის და ადგილობრივ მცხო-

ვრეწმა ურთი-ერთობა. რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს არმია გამოსთქვამს იმედს, რომ სარდლები და კომისრები გამოიჩენენ პირად ინიციატივას და საქმის სიყვარულს მთიელთა ხალხისადმი. გთხოვთ წაუკითხოთ ყველა ასეულებს ესკადრონებს, ბატარეებს და რაზმებს.

— **ს. ს. აზერბეიჯანის რესპ. უბლოკის წარმომადგენლობა საქართველოში.** ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ჰუსეინოვის ბრძანებით აზერბეიჯანის სრულ უფლებიან წარმომადგენლად საბჭოთა სოციალისტურ საქართველოში დანიშნულია ამხ. მაჰმედ ალილოვი. რომელიც ამავე დროს შეასრულებს აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა ვაჭრობის საგანგებო რწმუნებულის ადგილს საქართველოში. ა. ს. ს. სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეთ დაინიშნა ამხ დავუდ რასულზადე.

— **რევკომის თავმჯდომარე იღებს.** საქართველოს ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე იღებს სასახლეში სამსახურის საქმეების გამო ყოველდღე, გარდა უქმ დღისა შუადღის 12 საათიდან—3 საათამდის. კერძო საქმეების გამო იღებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით შუადღის 12 საათ.—3-მდის.

—გთხოვთ საქართველოს ს. რ. მდივანს მიმართოთ მხოლოდ იმ საქმეების გამო, რომელიც ეხება დეკრეტებს, ბრძანებებს და მთავრობის განკარგულებებს. მდივანი მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა, შუადღის 12 საათ 2 მდის.

—**დახმარება სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ.** ს. ს. ს. რ რევკომის მარტის 13 სხდომაზე დადგენილ იქმნა გადაიდოს ერთი მილიარდი მანეთი, აგრეთვე შესაფერი მასალები სამხრეთ-ოსეთის აღსადგენათ, რომელიც განადგურებული იყო მენშევიკების ჯარებისგან აჯანყების დროს. დადგენილი იქმნა, მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის რევკომი ოსებისგან და გორის სამაზრო რევკომში შეყვანილ იქნას ოსი.

—**გორის რაიონში** საქართველოს ს. ს. რ. რევკომმა დაადგინა: ყოველის ღონისძიებით დაეხმაროს მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ. გორის რაიონში ორგ ნიზაციის მოსაწყობად საქართველოს ს. ს. რ. რევკომა გაგზავნა ამ. ელიაშვილი და ბახტაძე.

— **თავისუფალი მიმოსვლა.** რევკომის დადგენილებით მარტის 11-დან თავისუფალია მიმოსვლა რესპუბლიკის საზღვრებში არავითარი ნებართვა მიმოსვლისთვის საჭირო არაა.

— **ზარალის ანაზღაურება.** ს. ს. რ. რევკომმა მარტის 1-ს დაადგინა: მოეწყოს განსაკუთრებული სალიკვიდაციო კომისია, რომელშიაც შევლენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, სამხედრო საზღვაო კომისარიატისა, და მე-2 არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წარმომადგენელნი. კომისია ანაზღაურებს მოქალაქეებს იმ ზარალს, რომელიც მოუვიდათ მათ ჯარის დგომისა და სამხედრო მოქმედებისაგან.

# საბჭოთა რუსეთში

მარტის 18.

**საერთო ბინა მგზავრთათვის.**

მოსკოვი 15-3 (რადიო.) სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თანახმათ, გამომუშავებულია და დამტკიცებული დებულება რკინის გზის მსხვილ კვანძზე მგზავრთა საერთო ბინების მოსაწყობათ, რომლებიც იკრიბებიან სადგურებში. შენახვა და მოწყობა ბინებისა ევალება ადგილობრივ კომუნების განყოფილებებს და აღმასრულებელ კომიტეტებს, სურსათის მოწოდება კი-ადგილობრივ სასურსათო სახალხო კომისარიატის ორგანოებს. ადგილობრივ სახალ. ჯანმრთელობის კომ, და გზათა სახალ. კომ. ევალება აღმოუჩინოს დახმარება: შენობების აშენებას, ტანსაცმლის და სურსათის მიწოდების მხრივ.

**გადასახადის მოხსნა.**

ლენინის მოხსენების შემდეგ ბეგარის ნატურალურ გადასახადით შეცვლის შესახებ, კომპარტიის მე-10 ყრილობამ 15 მარტის სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ყრილობამ მოიწონა ცენტრალურ კომიტეტის მიერ შემოტანილი დებულება ბეგარის ნატურალურ გადასახადით შეცვლის შესახებ. და მიანდო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სასწრაფოთ შეადგინოს ეს დებულება. დეტალურათ შეიმუშაოს გადასახადთა ცხოვრებაში გატარების ფორმა და გამოსცეს სათანადო კანონი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

**შეტნების განვითარება**

კოსტრომა. 10-3 (რადიო). კოსტრომის გუბერნიის კავერინის მაზრის უპარტიო გლეხთა სამ კონფერენციაზე დადგენილ იქმნა ჩამოიხსნას ეკლესიებიდან ზარები ელექტრონის მავთულის ჩამოსასხმელად.

**მაღალ აღმატებული უხამსდადლოება.**

მოსკოვი 15-3. (რადიო). სამართალში მისცეს ყოფილი „დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი“ ეპისკოპოსი პეტრე საწყობიდან შეშის სისტემატურათ ქურდობისათვის ზლატოუსტის მონასტრისგან.

# უცხოეთში

**მდგომარეობა სპარსეთში.**

**ბაქო.** მარტის 10 (რადიო) ზავინფერ მაბიურო იუწყება რ. ს. ფ ს. რ. წარმომადგენლობამ სპარსეთში დემოკრატიულ კაბინეტის დეკლარაციაში, რომელიც ახლო ხან შესდგა თეირანში, აღნიშნა შემდეგი დებულებანი: განაწილება სახაზინო მიწებისა მცირე მიწის მქონე გლეხთა შორის, მშრომელთა ექსპლოატაციის მოსპობა, საიჯარო კანონების გამოცემა მემამულეთა მიწებისათვის და მთელი რიგი რეფორმებისა სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგში. სახელმწიფოში შემჩნეულია დიდი მოძრაობა. მრავალ მცხოვრებთა შორის არსებობს უკმაყოფილება ინგლისელების წინააღმდეგ და მიმხიდველობა საბჭოთა რუსეთისადმი.

**სავაჭრო კონფერენცია საფრანგეთს და ჩეხო სლოვაკიის შორის.**

**პარიზი.** მარტის 13. (რადიო). სამართლების და სავაჭრო კონვენციების სენატის კომისიამ მოისმინა ვაჭრობის მინისტრის განმარტება საფრანგეთ-ჩეხო-სლოვაკიის კონვენციის შესახებ, რომელსაც ეხლა არჩევენ პარლამენტში. პალატის გადაწყვეტილების მოლოდინში, სენატის კომისია განაგრძობს ამ კონვენციის გაცნობას, რომ საშუალება ჰქონდეს დაუყონებლივ შეიტანოს დღის წესრიგში კანონპროექტი, რომელიც იწონებს ამ კონვენციას.

**საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმება.**

**პარიზი.** მარტის 13. (რადიო). საფრანგეთის და ანგორის მთავრობათა შორის მომხდარმა შეთანხმებამ, ბრიანის და ბექირ-სამიბეის მიერ ხელმოწერილმა, სრულიად დააკმაყოფილა ოსმალეთის დელეგაცია. ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარების საევაკუაციო წესრიგის გამომუშავების გარდა... (დამახინჯებულია)... საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმების ძალით განზრახულია მიეცეს რამოდენიმე კონცესია ფრანგულ კომპანიებს. ბაღდადის გზის ჩრდილოეთ ნაწილის სადგურები იქნებიან ოსმალების ხელში... (დამახინჯებულია)... კი ფრანგების ხელში, თვით ლიანდაგი კი იქნება თავისუფალი...(დამახინჯებულია).

**ოსმალეთის აღდგენა.**

**ლონდონი.** ანგორის მთავრობამ წარუდგინა ლონდონის კონფერენციას შემდეგი მოთხოვნილებანი: 1. ევროპის-ოსმალეთის აღდგენა 1913 წლის საზღვრებში, 2. სმირნის ტერიტორიის ევაკუაცია ბერძნების მიერ და დაბრუნება იმისი ოსმალეთისადმი, 3. თავისუფალი ნაოსნობა სრუტეებში ისე, რომ დაცულ იქმნას კონსტანტინეპოლის უშიშროება და ოსმალეთის სუვერენიტეტი სრუტეებზე, 4. საერთაშორისო კომისიის დაწესება სრუტეების თვალ-ყურის სადევნელად კომისიაში უნდა შედიოდნენ ოსმალეთის წარმომადგენლები, 5. ოსმალეთის სუვერენიტეტის აღიარება სასამართლოს საქმეებში და ოსმალელ და უცხოელ იურისტების მონაწილეობით კომისიის შედგენა სამოსამართლო საქმეების რეფორმისათვის, 6. უფლება უნდა მიეცეს იყოლიოს საკმაო სამხედრო და საზღვაო ძალები შინაურ წესიერების და საზღვრების და ნაპირების დასაცავად. 7. მთელ ოსმალეთში ჟანდარმერიის რეორგანიზაცია და 8. სრული ფინანსიური და ეკონომიური დამოუკიდებლობა ოსმალეთის.

**სმირნის ავტონომია.**

**ლონდონი.** ლონდონის კონფერენციაზე აღძრულ იქნა საკითხი სმირნის ოლქის 25 წლის განმავლობაში ავტონომიურათ მოწყობის თაობაზე. თვით სმირნა პორტო-ფრანკოდ გამოცხადდება.

**მუშების დევნა**

**პარიზი.** გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს: საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და პოლიციის პრეფექტურა ძალიან სდევნიან უცხოელებს. უბრალო დაბეზღებით მუშებს აძევებენ საზღვრებიდან რუს, პოლონელ და ისპანელ მუშებს საფრანგეთის მთავრობა ისე ეპყრობა, როგორც ბოროტ-მოქმედთ და ასახლებს უმიზეზოდ.

**გერმანიის მუქარა.**

**პარიზი.** „ლეჟურნალი“ იტყობინება: გერმანელები იმუქრებიან სახელმწიფო ბანკროტებულად გამოაცხადონ. გერმანელი ნაციონალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ აფეთქებულ იქმნას რურის მაღაროები და განადგურებული ქემლები.

**ანგორის პირობები.**

**ბაქო.** ლიონიდან რადიო იუწყება: ანგორის მთავრობამ გამოსთქვა სურვილი ხელი მოაწეროს სევრის ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთის სუვერენიტეტი გავრცელებულ იქნება მირნასა, თრაკიასა, სომხეთსა და ქურთისტანზე.

**გერმანია ბოიკოტს უცხადებს ანტანტას.**

**ნაუენი.** მარტის 16 (რადიო). ბერლინის ზოგიერთმა არისტოკრატიულმა და სამხედრო წრეებმა საერთო ბოიკოტი გამოუცხადეს გერმანიის მტრებს, გრაფების და ბარონ-ფონ-დე გოლცის ოჯახის წევრებმა თავიანთ ოჯახურ კრებაზე ერთხმად გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „ჩაითვალოს ოჯახის უღირს წევრათ ის, ვისაც ექნება რაიმე დამოკიდებულება მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეებთან, და მათ ოჯახებთან, აგრეთვე ისინიც, რომელიც ხელს უწყობენ მოწინააღმდეგე ქვეყნის წევრებთან დამოკიდებულების დაჭერას და ვინც მიიღებს მათ არა პროფესიის და ოფიციალური მოცილეობის გარეშე. „ბერლინის ზოგიერთმა სამხედრო ორგანიზაციებმაც გამოთქვეს, რომ განდევნონ თავიანთ წრიდან ყველა ის, ვინც იქონიებს რაიმე დამოკიდებულობას ანტანტის წარმომადგენლებთან, გარდა ოფიციალურ წარმომადგენლებისა.

**თალათ-ფაშის მკვლელობა.**

**ნაუენი.** მარტის 16 (რადიო). ყოფილი დიდი ვეზირი, თალათ-ფაშა მოკლა ახალგაზრდა სომეხ სტუდენტმა. მკვლელობის მიზეზათ ასახელებენ თალათ-ფაშის მიერ სომხების დარბევის მოწყობას. თალან-ბეი, სწერს ვიგანდი, იყო ერთი საუკეთესო და სახელოვან მოღვაწე ახალგაზრდა ოსმალთა შორის. თავის მუშაობა მან დაიწყო უბრალო ტელეგრაფისტობიდან და ბოლოს დიდი ვეზირი შეიქმნა. ამას წინად ჩემთან ლაპარაკში, მან აღნიშნა: „ჩემი კარიერა ამტკიცებს, რომ ოსმალეთის კონსტიტუციის დემოკრატიული სულ ქმნის შანსების თანასწორობას... (გამოტოვებულია) ენვერი, რომელიც აგრეთვე წარმოიშვა დაბლებიდან, მოექცა სათავეში ლაშქარს, თალათი კი ოსმალეთის ყველა დიპლომატების და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ნიჭიერი. მას შემდეგ, რაც ის გადავიდა ბერლინში, ის შეიქნა ოსმალეთის ყველა პარტიათა რწმუნებულთა თავის შემარიგებელი ტაქტიკით მან მიაღწია შეერთებინა და ფაქტიურად თავის ხელში მოეხვეჭა ყველა პოლიტიკური ძაფები და მთელი მისი ძალღონე მიმართული იყო მისკენ, რომ გადასინჯული ყოფილიყო სევრის ხელშეკრულება. ის ფაქტი, რომ ლოიდ-ჯორჯმა წინადადება მისცა ქემალს გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი ლონდონის კონფერენციაზე, ნიშნავს ქემალის მთავრობის ფაქტიურათ ცნობას, და შეიძლება ჩაითვალოს იმ მეთოდის მუშაობის შედეგათ, რომელსაც თალანთ-ბეი აწარმოებდა ბერლინის კულისებს უკან. მე რამდენიმეჯერ თალათთან ვისაუბრე და მქონდამასთან მიწერ-მოწერა, თალათს ჰქონდა ერთი მიზანი ეს იყო სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა და მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ინგლისის და საფრანგეთი იძულებული იქნებოდნენ დაეთმოთ ოსმალეთისთვის მოკავშირეთა პრემიერმა სან-რემოში კონფერენციის გახსნის რამდენიმე დღით ადრე მოიწვიეს თალაათ-ფაშა რომში ოსმალეთის მდგომარეობის განსახილველად იტალიის მთავრობის წევრებთან.

თალაათი დაბრუნდა დაკმაყოფილებული თავისი მგზავრობის შედეგებით.

# ახალი ამბები

— **სოციალურ ფილოსოფიის წრე** პრთდ. შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით ამ დღეებში დაიწყებს მეცადინეობას — მსურველთ შეუძლიათ წრის წევრათ ჩაწერა წრის მდივან სტუდენტ დათიკო წერეთელთან (სტუდენტთა სასადილო სოლოლაკი) 2—3 საათამდე ყოველ დღე.

წრის წევრთა რიცხვი განსაზღვრულია.

— ამ. კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორთა ერთი ჯგუფი, რომელმაც თავი დამარცხებულად იგრძნო ამას წინად მოხდარ თათბირზე ამ. კავკ უნ. განათლების შესახებ, ფიქრობს დელეგაციის გაგზავნას მოსკოვში სახ. კომის. ლუნაჩარსკიან ამ საკითხის გამო.

დაბეზღებისა და უკანა კარებიდან სიარულს მიჩვეული ხალხი, რა თქმა უნდა ასე მალე ვერ გადაეჩვევა ძველ გზას.

— გუშინ, მარტის 17, რედაქციაში თავი მოიყარა ცხინვალის რაიონის სოფლელებმა და გამოჰყვეს თავის წრიდან დელეგაცია, რომელმაც ამხ, ზ. ნუცუბიძის მეთაურობით ინახულა საქ. რევკომის თავმჯდომარე და დაწვრილებით გააცნო მას ხსენებულ ადგილებში ოსების მიერ ჩადენილი ამბები. როგორც უკვე აღნიშნულიც გვქონდა საქ. რევკომი სასტიკ ზომებს ღებულობს ყოველივე ანარქიის წინააღმდეგ.

— ი. მამულაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისი ბინის გაძარცვის დროს (სასტუმრო „ინტერნაციონალში“) სხვათა შორის დაიკარგა იოსებ გრიგოლის ძე მამულაშვილის (მამულოვის) პასპორტი, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

# მთლიანი ფრონტი თუ რევოლიუციის დეზერტირობა?

თერგის საოლქო ალმასკომის ორგანო. „კომუნისტში“ (№ 276, ა. წ. მარტის 6) მოთავსებულია შემდეგი რეზოლიუცია, გამოტანილი სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის თებერვლის 25-ს სხდომაზე:

„ვლებულობთ რა მხედველობაში სამხრეთ-ოსეთის ღარიბთა შეურყეველ სურვილს, რომელიც გამოთქმულია: 1) სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მემორანდუმში 1920 წლის მაისის 28-ს, 2) სამხრეთ ოსეთის ხალხის დეკლარაციაში მთის ხალხთა ყრილობაზე 1920 წლის ნოემბრის 15 ს, 3) სამხრეთ ოსეთის რევოლიუციონურ ემიგრანტთა ყრილობის დადგენილებაში 1921 წლის თებერვლის 15-ს ქ. კავკავში, 4) საბჭოთა უფლებისათვის განუწყვეტელ, თითქმის სამი წლის ბრძოლაში სამხრეთ ოსეთის მშრომელი ხალხისა საქართველოს სოციალ-მოღალატეთა წინააღმდეგ.

სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი ადგენს: ა) ხელ ახლა გამოცხადდეს საბჭოთა ძალა-უფლება სამხრეთ ოსეთში, ბ) შეიქმნას სამხრეთ ოსეთისაგან ცალკე პოლიტიკური ერთეული ცენტრით ცხინვალში, გ) დაარსდეს სამხრეთ ოსეთის რევკომი შემდეგი ამხანაგებისაგან:

1. ვლ. სანაკოევი, 2. რაჟ. კოზაევი, 3. ალ. ჯატიევი, 4. ყაზ. ბუტაევი, 5 სერ. გაგლოევი, 6 ნიკ. გადიევი და 7 არ. პლიევი.

დ) სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მასის ნების საბოლოოდ გამორკვევამდე საბჭოთა ყრილობაზე, მთელი ძალა-უფლება გადაეცეს სამხრეთ ოსეთის რევკომს, ე) შესდგეს პარტიული შემდეგი ამხანაგებისაგან:

1. ალ. ჯატიევი, 2. არ. პლიევი, 3. ვლ. სანაკოევი, 4. სერ. გაგლოევი და 5 რაჟ. კოზაევი.

მთელი ეს დადგენილება ძალაში შედის რევოლიუციონური გზით ეცნობება ვისაც ჯერ არს?

**Коммунисть, 6 марта 1921 г.**

თუ ეს ხალხი მართლა გულწრფელი რევოლიუციონერები არიან, მათი გადაწყვეტილება ... რამდენიმე ... რი.

რა საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე ერთენების მიხედვით რევკომების დაარსება? ეს ხომ მთლიანი ფრონტის დაშლაა და ნაციონალურ ბრძოლის და შუღლის გაღრმავებაა? აკი, გამოიღო კიდეც თავისი შედეგი ოსეთის რევკომის „რევოლიუციონურმა“ მოღვაწეობამ. ცხინვალის რაიონში წარმოებული ძარცვა-გლეჯა, სახლების დაწვა და აწიოკება, რომლის შესახებ რედაქციას ყოველ დღე მოდის ცნობები, შედეგია იმ შეუგნებელ „მოღვაწეობის“, რომელსაც შოვინიზმი რევოლიუციისაგან ვერ გაურჩევია.

7 მაისის ხელშეკრულობის საქართველო წითელ დროშის მფარველობის ქვეშ სდგას და არავითარი საჭიროება არაა იმაში, რომ „დომოროშნი“ რევკომები ღია კარებში შეიჭრან და საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაჭერზე თავისი იარლიკით საბჭოთა სისტემა გამოაცხადონ.

ცხინვალის რაიონის ოსობა ადრე თუ გვიან შეიგნებს, რომ თუ მენშევიკური მთავრობა მისი ორგული იყო, ქართველი გლეხი მისი საუკუნოებითი მეზობელი და მოკეთე და გულუხვი მასპინძელია. ეს სიუხვე იქიდანაც სჩანს, რომ სწორედ ამ გლეხთა მთავრობა მენშევიკების მიერ დაზარალებულ ოსობას ქონებრივ დახმარებას უწევს და საამისო თანხა უკვე გადაიდო ერთი მილიარდი მანეთი.

მუშათა და გლეხთა საქართველოში ოსები იგრძნობენ თავს სწორუფლებიან და ნამდვილ მოქალაქე საქართველოისა და არავინ ზედ მეტი საეჭვო მფარველი ოსობას არ დასჭირდება.

ვინმე ოსი.

# ვინ შედიოდა მენშევიკების პარტიაში?

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ (№ 13) მოყვანილია შემდეგი დოკუმენტები.

„აი პირველი სარეკომენდაციო ბარათი: ამხ. გაჩეჩილაძე! გთხოვთ ჩასწეროთ პარტიაში თედორე მეხტიევი, რომლის პატიოსნებაში და სოციალ-დემოკრატიულ რწმენაში მე გარ დარწმუნებული. მეხტიევი ამ სახლის პატრონია, რომელშიდაც მე ვდგევარ. პატივისცემით ს. გოლდფერბი.

უფრო საინტერესოა მეორე საბუთი, რომელიც ამტკიცებს იმას, თუ რისთვის იწერებოდნენ მენშევიკების პარტიაში უმეტესი ნაწილი ამ პარტიის წევრებისა,—აი ესეც:

ამხ. სანდრო! ამ ბარათის მომტანს, ახალგაზრდა სტუდენტს ჯაფარიძეს უნდა რკინის გზის „უპრავლენიაში“ სამსახურში შესვლა, და ჩვენი საწევრო ბარათის უქონლობის გამო არ იღებენ; მიეცა დღესვე საწევრო ბარათი ჩემი თავდებობით. არსენ თოდრია. ყარგი სოციალ-დემოკრატი იქნება ა. თ.

ორივე ეს ბარათი მოგვყავს სრულათ ისე როგორც დედანში; გარდა ამისა ორივე ბარათს შენიშვნა აქვს გაკეთებული იმის შესახებ, რომ პარტიული ბილეთი მიღებული აქვთ მათ მომტანთ.

მოგვყავთ კიდევ ერთ ბარათს:

ამხ. გიორგი! ნ. მ. მინაიშვილის მიღება შეიძლება პარტიაში, როგორც ყოვლად საიმედო პირის და საგანგებო რაზმის საუკეთესო აგენტის. საგანგებო რაზმის (особый отрядъ) კომიტეტის თავმჯდომარე ეპიფანე ცეცხლაძე. ტელ. № 53, სოლოლაკის ქუჩა № 3“. (მართლწერა დედნის).

ჩვენ გვგონია მეტი საბუთების მოყვანა ზედმეტი იქნება, რადგანაც ესეც ნათლად ყოფს იმას, თუ რა პიროვნებები აძლიერებდა მენშევიკების პარტიას: სახლის პატრონი, ოფიცრის მაძებარი სტუდენტი და საგანგებო რაზმის საუკეთესო აგენტი.“

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა